



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი

1 აპრილი, 2015 წელი

განკარგულება N43

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელმაც მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირის - ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გ. აბაშმამის ანგარიში სამსახურის მიერ 6 თვეში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს სერიოზული მუშაობა როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სხვა აუცილებელი პრობლემების გადაჭრის მიზნით; გამომდინარე აქედან, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა.“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა.“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის 2014 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის 2014 წლის ანგარიში

აღნიშნული სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მიერ ხუთი სამუშაო თვის განმავლობაში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შესრულებულ იქნა, გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის გამოვლენა, დაგეგმვა, მონიტორინგი და ჩაბარება.

სოფლის მხარდაჭერი პროგრამით 28 თემში 1 347 000 ლარის ღირებულების სამუშაოები განხორციელდა.

ოთხ სოფელში რთულ მონაკვეთებზე ემოეწყო 1 440 გრძივი მეტრი რკინა-ბეტონის გზა, რაც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა სეზონზე ციტრუსის მოსავლის ტრანსპორტირებისათვის.

მოეწყო 60 ათასი ლარის ღირებულების საყანე ფართობებთან მისასვლელი ხრემოვანი გზები.

მიმდინარეობს რამდენიმე ინფრასტრუქტურული, გარდამავალი პროექტის განხორციელება. ესენია: მერია-კონკკათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის გზის მშენებლობა და ოზურგეთი-მელექერდური -დვაბზუს დამაკავშირებელი გზის აღდგენითი სამუშაოები. დაიგო 30 ათასი კვ. მეტრი ასფალტ-ბეტონის საფარი.

სოფელ ბახვში მდ. დურღანაზე დასრულდა ხიდის მშენებლობა, ასევე სოფელ თხინვალისა და ნატანების, დაბა ლაითურისა და ოჩხამურის დამაკავშირებელი ხიდების რეაბილიტაცია.

სულ რეგიონალური ფონდიდან დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 4100000 ლარი დაიხარჯა.

სოფელ ასკანაში მოეწყო უახლესი, ევროსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი წყალმომარაგების სისტემა. ასკანის წყლის საფილტრ-საქლორატორო სადგური უნიკალურია თავისი სტრუქტურით და სამი მაღალმთიანი სოფლის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემას მოხსნის. დღეიდან მოსახლეობას წყალი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება.

პროექტი ფინანსდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. მისი ღირებულება 1205000 ლარს შეადგენს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება:

24 სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს გადაეცა 30 000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები.

10 სოციალურად დაუცველი ოჯახი დაკმაყოფილდა 15 კუბური მეტრი ხის მასალით.

2014 წლის გაზაფხულზე მომხდარი სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 193 დაზარალებულ ოჯახს 26 300 კვადრატული მეტრის თუნუქის სახურავი გადაეცა.

ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ინტენსიური მუშაობის შედეგად, 2014 წელს გურიაში მომხდარი სტიქიის შემდეგ, სოფელ შემოქმედისა და ნატანების გზის ჩანგრეული მონაკვეთების სრულფასოვნად აღდგენა რამდენიმე დღეში მოხერხდა.

24-29 სექტემბრის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებლად მომზადდა 4566000 ლარის საპროექტო დოკუმენტაცია.

არქიტექტურის განყოფილების მიერ 2014 წლის განმავლობაში გაცემულია 35 მშენებლობის ნებართვა.

ქონების მართვის განყოფილების მიერ მუნიციპალიტეტის სახელზე ხელახლა დარეგისტრირდა 91 ობიექტი. სახელმწიფოდან გადმოგვეცა და დარეგისტრირდა 30 ობიექტი. 16 ობიექტზე აუქციონის ჩასატარებლად მომზადდა სრული დოკუმენტაცია.